

თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ერთობლივი კომისიის შეფასების კრიტერიუმები:

კრიტერიუმი	აღწერა	ქულა	წონა	მაქს. ქულა	ქულა
1. პროექტის სამეცნიერო და ტექნოლოგიური ხარისხი	გთხოვთ, შეაფასოთ საპროექტო წინადადების მეთოდოლოგიური/კონცეპტუალური/თეორიული წვლილი შესაბამის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ დარგში და, ასევე, განსაზღვროთ საპროექტო წინადადების ხარისხი და ინოვაციის პოტენციალი (მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონცეფცია, კვლევის მიზნების ხარისხი)	0-5	x1	5	
2. მეთოდოლოგია	გთხოვთ, შეაფასოთ საპროექტო განაცხადში აღწერილი სამეცნიერო მეთოდოლოგიის ხარისხი და კვლევის დიზაინის ეფექტურობა პროექტის მიზნებისა და კვლევის ამოცანების გათვალისწინებით. ასევე, გთხოვთ, შეაფასოთ კვლევის ტექნიკა (მონაცემთა შეგროვების ხერხები, გამოსაყენებელი ინსტრუმენტები და მონაცემთა ანალიზის მეთოდები), არსებული ლიტერატურის გათვალისწინებით.	0-5	x1	5	
3. პროექტის მენეჯმენტი, პერსონალი და ინფრასტრუქტურა	გთხოვთ, შეაფასოთ პროექტის სამუშაო გეგმა-გრაფიკის შესაბამისობა და პროექტის წარმდგენი პერსონალის კომპეტენცია და ექსპერტიზა ეფექტური თანამშრომლობისა და კომუნიკაციის პოტენციალის კუთხით. ასევე, გთხოვთ, შეაფასოთ პროექტში მოხსენიებული ინსტიტუციების ინფრასტრუქტურის, მართვის სტრუქტურისა და პროცედურების შესაბამისობა, რისკების მართვის გათვალისწინებით.	0-5	x1	5	
4. პროექტის შედეგი და ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობა	გთხოვთ, შეაფასოთ პროექტის შესაძლო მოკლე და გრძელვადიანი შედეგები, პროექტის მიერ შეტანილი წვლილი სამეცნიერო საზოგადოებისთვის (აკადემიური, ეკონომიკური, კომერციული და სოციალური შედეგები) და, ასევე, შეაფასეთ პროექტის წვლილი შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისა და კვლევის შედეგების პოტენციურ მომხმარებლების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.	0-5	x1	5	
ჯამური ქულა (მაქსიმალური 20)					

გ) თითოეული კრიტერიუმი ფასდება 5-ქულიანი სისტემით შემდეგნაირად:

ქულა	შეფასება	განმარტება
0	ცუდი	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.

1	სუსტი	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, შეინიშნება სერიოზული არსებითი სუსტი მხარეები.
2	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები, სუსტად დასაბუთებული და არადაამაყოფილებელი ხარისხისაა.
3	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთებულია დამაკმაყოფილებელი ხარისხით, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება
4	ძალიან კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. იკვეთება ორიგინალობა და უპირატესობა, მაგრამ შესაძლებელია გარკვეული დახვეწა.
5	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო ხარისხის მქონე პროექტია, რომელიც წარმატებით პასუხობს ყველა კრიტერიუმს. ნებისმიერი ხარვეზი არის არსებითად უმნიშვნელო.

- დ) პროექტის ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 20 ქულა;
- ე) დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 14.2 ქულა;
- ვ) ერთნაირი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც უკეთეს ქულებს დააგროვებს პირველ კრიტერიუმში.